# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

22 მაისი, ოთხშაბათი, 1991 წ.
№ 98 (10 506) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა ჩვენი სახელოვანი სპორტსმენის, ლეგენდარული ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო საჭადრაკო ტურნირი. ზედა სურათზე აღბეჭდილი არიან ტურნირის მონაწილენი და მსაჯები, ორგანიზატორები.

„ლელოს" საჭადრაკო დამატება „მერანმა" ტურნირზე დააწესა პრიზი, რომლის პირობის შერჩევა რედაქციამ თვით იუბილარს სთხოვა. „მოჭადრაკეს, რომელიც ყველაზე მეტ დროს დახარჯავს საჭადრაკო დაფასთან" — ასეთი იყო ეს პირობა. პრიზი წილად ხვდა ბუხუტი გურგენიძეს, რომლის გადაცემა რედაქციამ ისევ ქალბატონ ნონას შესთავაზა.



## ფეხბურთის გულშემატკივრებს!

ცხადია, სურვილი გაქვთ საფეხბურთო მოედანზე იხილოთ ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ტრიუმფატორი, 1981 წლის თბილისის „დინამო" და 1975 წელს ამ თასის მფლობელი კიევის „დინამო". ისინი, სულ მალე, 25 მაისს, თქვენს თვალწინ, თბილისში შეხვდებიან ერთმანეთს, ეროვნულ სტადიონზე. ამ მატჩის სანახავად, მით უფრო გაგიწევთ გული, რომ იგი საქველმოქმედოა — მთლიანი შემოსავალი მიხეილ მესხის ოჯახს გადაეცემა. სტადიონზე სხვა საინტერესო სანახაობაც გელით — იქვე დამთავრდება მძლეოსნური გარბენი, რომელიც საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნება.



**ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა საყურადღებოდ:**

**24 მაისს, პარასკევს, 19 საათზე, თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება სასახლის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.**

**გთხოვთ, მიიღოთ მონაწილეობა!**

კახი ასათიანი:

# ქართული სპორტი ახლებურად იცხოვრებს

— **საქართველოს** სპორტის დეპარტამენტის მთავარი ამოცანა, რომელიც ყოფილი რესპუბლიკური სპორტსახკომის ნაცვლად მოქმედებს, ის არის, რომ მთლიანად შეცვალოს სპორტული მუშაობის სტრუქტურები, დამოუკიდებლად გავიდეს საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე. ეს განაცხადა სპორტული უწყების დირექტორმა კახი ასათიანმა, რომელმაც პირველი პრესკონფერენცია გამართა ამ რანგში. იგი მოაწყო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ.

— ახლებურად მუშაობის დაგეგმვაში დაგვეხმარა დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ, გერმანიისა და საფრანგეთის გამოცდილების შესწავლა, — თქვა ბატონმა კახი ასათიანმა. — ჩვენი დეპარტამენტი გახდა მაკონტროლებელი, მარეგულირებელი ორგანო. იგი კოორდინაციას გაუწევს და მატერიალურად დაუჭერს მხარს სხვადასხვა სახეობის სპორტის ფედერაციების საქმიანობას, რომლის არსი და ფორმა ძირფესვიანად იცვლება. ფედერაციები ხდებიან საზოგადოებრივ-სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც მთლიანად აგებენ პასუხს „თავისი" სპორტის განვითარებისა და დამოუკიდებლად საქმის გაძღოლისათვის, იღებენ შესაძლებლობას მომავალში გადავიდნენ თვითდაფინანსებაზე. ახლა მათი ხელმძღვანელობა ფულს ჩვენგან იღებს, მაგრამ სპორტული და კომერციული საქმიანობისაგან შემოსავლის ზრდის კვალობაზე შექმნის ხელფასის საკუთარ ფონდებს.

შექმნილია 26 ასეთი ფედერაცია, რომლებსაც, ძირითადად, სათავეში უდგანან სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები და შეუძლიათ გახდნენ კონკრეტულ სახეობათა სპორტის სპონსორები. ეს ნაკლებია, ვიდრე წინათ იყო, ზოგიერთი ფედერაცია ერთიანდება, როგორც, მაგალითად, ტყვიისა და სასტენდო სროლის, ხუთჭიდისა და ცხენოსნობის ფედერაციები. შეეხირა ურთიერთობას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან, კ. ასათიანმა განაცხადა, რომ ეს წმინდა საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, ამიტომ ჯერჯერობით მას არ უსარგებლია დეპარტამენტის მხარდაჭერით, მაგრამ თუ დასჭირდება, ასეთი მხარდაჭერა ექნება.

არის სიახლე ადგილებზე. სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში. საქართველოს ტერიტორია გეოგრაფიული ნიშნით 13 ზონად დაიყოფა. ქალაქებსა და რაიონებში შემოღებული იქნება პრეფექტთა სპორტისა და ტურიზმის მრჩევლების თანამდებობანი, შემდეგში კი ყოველ ზონაში შეიქმნება შესაბამისი დირექტორატები. რესპუბლიკაში იმოქმედებს შეჯიბრებათა მოწყობის ოთხწლიანი ოლიმპიური ციკლი. ამ ციკლში გაიმართება საქალაქო, რაიონული, ზონალური ასპარეზობანი და დამთავრდება საერთო რესპუბლიკური ასპარეზობებით ან სპარტაკიადებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ერის ფიზიკურ გაჯანსაღებას. ამიტომ ყველგან შეიქმნება მრავალი სპორტული კლუბი, რომლებშიც ჯანმრთელობას გაიკაჟებენ

იხ. გვ. 2

## დახმარება გრძელდება

**გრძელდება 29 აპრილს მიწისძვრით დაზარალებულ თანამოძმეთა მატერიალური დახმარება.**

● **თბილისის** 35-ე საფეხბურთო სპორტულმა სკოლამ გადარიცხა — 2615 მან.

● **სპორტსაზოგადოება** „მართვეს" გორის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლამ საჩხერის რაიონის სპორტსკოლაში ჩაიტანა 600 მანეთის პროდუქტი და ტანსაცმელი.

● **საქართველოს** სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური რესპუბლიკური სპორტსკოლის ექვსმა თანამშრომელმა 1 თვის, ათმა — 10 დღის, ცხრამ — 5 დღის ხელფასი გაიღო.

## რა ისმის უცხოეთიდან?

## მსოფლიო ჩემპიონი რიგში ჩადგა

უკეთეს შედეგზე მსოფლიო ჩემპიონი, ცხადია, ვერც იფიქრებდა — ჯორჯ ფორმენთან თორმეტრაუნდიან უძნელეს ბრძოლაში ევანდერ ჰოლიფილდმა შეინარჩუნა ტიტული, მაგრამ ეს გამარჯვება მსოფლიო ჩემპიონს დროებითი უმუშევრობის ფასად დაუჯდა.

ჰოლიფილდმა, გახსოვთ ალბათ, ჩემპიონის ტიტული ჯეიმს დუგლასთან ბრძოლაში მოიპოვა. ამის შემდეგ მას შეეძლო შეერჩია მორიგი მეტოქე. მსოფლიო ჩემპიონთან ბრძოლის პრეტენზიას ფორმენის გარდა აცხადებდნენ მაიკ ტაისონი და დონოვან რადოკი. მაგრამ ფორმენთან გამარჯვების შემდეგ მოულოდნელად გაირკვა, რომ არც ტაისონსა და არც რადოკს ჰოლიფილდისთვის არ სცალიათ.

ტაისონმა და რადოკმა დრო უქმად არ დაკარგეს და სანამ ჩემპიონი მეტოქეს ირჩევდა, ერთმანეთში გადაწყვიტეს ბრძოლა. მით უმეტეს, რომ ტაისონი უკვე პირველ ნომერ პრეტენდენტად იყო დამტკიცებული, რადოკი კი მეორედ. ამ ბრძოლის სკანდალური ფინალი ყველას ახსოვს — ტაისონის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მსაჯმა არასწორად შეწყვიტა ბრძოლა და რადოკს ნოკაუტი ჩაუთვალა. ეს იმდენად სადავო გადაწყვეტილება იყო, რომ ორივე მეტოქემ განმეორებითი შეხვედრა ისურვა, ხელახალი ბრძოლა ივნისისთვისაა დანიშნული, აი მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია დაგეგმოს თავისი მორიგი შეხვედრა ჰოლიფილდმა, მანამდე კი... იგი გულდაწყვეტილი ადევნებს თვალს, როგორ ინაწილებენ ერთმანეთში მილიონებს ტაისონი და რადოკი.

რაც შეეხება ფორმენს, იგი მატჩრევანშის მოწყობას არ ჩქარობს. წლის ბოლომდე 42 წლის ვეტერანს მხოლოდ ორი ბრძოლის ჩატარება აქვს დაგეგმილი.





# ძლევენიც ამას ჰქვია

**ტურისტი** საზღვარგარეთ დადის იმიტომ, რომ დაისვენოს და ქვეყანა გაიცნოს.

უცხოეთში დადიან მივლინებითაც, სამეცნიერო კონგრესებსა და ყრილობებზე, დადიან საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად.

სპორტსმენი საზღვარგარეთ მეტწილად სამუშაოდ დადის, ვინაიდან ნებისმიერი შეჯიბრება მძიმე და მომქანცველი შრომაა.

ჩოგბურთელს ანქთი ცხოვრება აქვს — მეტხანს უცხოეთში ატარებს, რომ იტყვიან, ერთთავად ჩანთებზე ზის, დღეს რომ ევროპაში თამაშს მოათავებს, ხვალ უკვე სხვა კონტინენტზეა, ზეგ კიდევ სხვაგან. შინ ბრუნდება მხოლოდ მცირე ხნით, სული რომ მოითქვას, ახლობლები, ნაცნობ-მეგობრები ნახოს, ცოტა დაისვენოს და ისევ გზას დაადგეს.

ამ დღეებში ჩვენმა სათაყვანებელმა ჩოგბურთელმა ლეილა მესხმა დროებით მოათავა გარეშე საქმეები და შინ, მშობლიურ თბილისში დაბრუნდა. მაგრამ ბევრისგან განსხვავებით დაბრუნდა ხელდამშვენებული, ძვირფასი ძღვენითა და საჩუქრებით.

გერმანული ყაიდის ჩოგანი „ფოლკლი" საქვეყნოდ არის ცნობილი და პროფესიონალთა დიდი მოწონებით სარგებლობს. ამ მარკის ჩოგნით თამაშობს მსოფლიოს ყველა ცნობილი ჩოგბურთელი. ლეილა მესხმა 52 ასეთი ჩოგანი ჩამოიტანა თბილისში და საჩუქრად გადასცა საქართველოს ნაკრების ყველა წევრს, ნორჩ პერსპექტიულ ჩოგბურთელებს.

„ფოლკლის" 52 ჩოგანი მთელი სიმდიდრეა, მაგრამ, ხომ არ ვკითხავდით ლეილას რა დაუჯდა ეს ძვირფასი ძღვენი? ფულის ხსენება ალბათ უხერხულია, როცა ასეთ ამაღლებულ თემაზეა საუბარი, ამიტომ ყველა სპორტის მოყვარულის სახელით ლეილას მადლობას ვუხდით გულისხმიერებისათვის.

**სურათებზე:** ნორჩ ჩოგბურთელთა ბედნიერებას, დავეთანხმებით, ალბათ არა აქვს საზღვარი, ამ მომენტიდან ისინი თავს ნამდვილ ჩოგბურთელებად ჩათვლიან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

# ქართული სპორტი ახლებურად იცხოვრებს

(დასასრული)

მთელი ოჯახები მათთვის მოხერხებულ დროს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპორტული მუშაობის რეორგანიზაციის ჭაუმჯობესებას რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, რომელიც ახლა დიდ პრესტიჟს იმსახურებს.

მესამე მნიშვნელოვანი სიახლეა ნორჩ სპორტსმენთა სწავლებისა და მომზადების სისტემის სრული შეცვლა. რესპუბლიკაში „დაქსაქსული" მრავალი სპორტინტერნატის ნაცვლად იქმნება სამი სპორტული გიმნაზია — დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, აგრეთვე, თბილისში. გაუქმდება ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მას შეცვლიან სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, მნიშვნელოვნად იცვლება ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლების პროგრამა. ყოველივე ეს შემდგომში სპორტის აკადემიად ამ ინსტიტუტის გადაკეთების მიზნით ხორციელდება.

— წინათ სპორტული ინტერნატებიდან და ბავშვთა და ჭაბუკთა სკოლებიდან დიდ სპორტში მოდიოდა აღსაზრდელთა დაახლოებით 10 პროცენტი. დანარჩენი ბავშვები, თუმცა ფიზიკურად ნაწრთობი იყვნენ, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ დიდ სპორტში, პრაქტიკულად იკარგებოდნენ, — თქვა ქ. ასათიანმა. — ახლა სპორტული გიმნაზიის მეათე კლასში, გამოცდების შემდეგ, ყველაზე ნიჭიერები მოხვდებიან დიდ სპორტში და მთლიანად მას მოახმარენ ძალ-ღონეს. სპორტულ უმაღლეს სასწავლებელში ისინი სწავლას განაგრძობენ გამოსვლების დამთავრების შემდეგ, გიმნაზიების დანარჩენ კურსდამთავრებულებს კი ექნებათ შესაძლებლობა ფიზკულტურის ინსტიტუტში გადავიდნენ (შემდგომში სპორტის აკადემიაში), სადაც შეიქმნება სამხედრო კათედრები. სპეციალიზებული სწავლების ორი წლის შემდეგ კი შეემატებიან ეროვნული გვარდიის რიგებს.

შეეხო რა საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე საქართველოს დამოუკიდებელ გასვლას, სპორტის დეპარტამენტის დირექტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს რთული და ხანგრძლივი პროცესია. ახლა ყველა საერთაშორისო ფედერაციას ეგზავნება წერილები კახი ასათიანის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის ნონა გაფრინდაშვილისა და რესპუბლიკურ ფედერაციათა ხელმძღვანელების ხელმოწერით. მათში განმარტებულია საქართველოს პოზიცია, რომელმაც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გილდგინა და შეიცავს თხოვნას განიხილონ თავიანთ წევრებად მიღების საკითხი. იმ მიზნით, რომ საერთაშორისო სპორტული საზოგადოებრიობა გაეცნოს ქართული სპორტის მდიდარ ისტორიას, მის მიღწევებს, მზადდება ვიდეოფილმები, ალბომები და ბროშურები სხვადასხვა ენებზე. „მთავარია, — აღნიშნა ქ. ასათიანმა, — მოვიპოვოთ ოლიმპიურ სახეობათა სპორტის საერთაშორისო ფედერაციების მხარდაჭერა. დიდ იმედებს ვამყარებთ ჭადრაკის ფედერაციაზე — საქართველოს წარმომადგენლები ხომ ყველგან დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ".

ითქვა, რომ უშუალო კონტაქტები მყარდება რესპუბლიკებთან, რომლებმაც უარი თქვეს ახალი საკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერაზე. სპორტული საქართველო მზად არის მოაწყოს შესაბამისი კონფერენცია. ლიტვასთან და ლატვიასთან უკვე მიღწეულია შეთანხმება, მიწვევა გაეგზავნა ესტონეთს, მოვიწვევთ აგრეთვე მოლდავეთს და სომხეთს (საქინფორმი).

# 25 მაისს, სად, როდის, როგორ...

რამდენიმე შეკითხვა გარბენის მთავარ მსაჯს **მამია ტულუშს.**

**● ვინ მიიღებს მონაწილეობას გარბენში?**

— გარბენში მონაწილეობის უფლება აქვს ყველას, ვისაც სურვილი ექნება, მაგრამ ერთი უმთავრესი პირობით — აუცილებლად უნდა წარმოადგინოს სამედიცინო ცნობა.

**● ბევრს აინტერესებს, სად შეუძლია სამედიცინო ცნობა მიიღოს?**

— საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ტერიტორიულ პოლიკლინიკაში. ისინი კი, ვინც ფიზკულტურის დისპანსერში არიან აღრიცხვაზე (ვგულისხმობ სპორტსმენებს), ცნობას ამ დისპანსერში მიიღებენ. გარბენში ცალკეული ორგანიზაციების კოლექტიური მონაწილეობის შემთხვევაში განაცხადის წარმოდგენა შეიძლება დამკვიდრებული წესის მიხედვით (სიით).

**● გვეკითხებიან, პირადობის დამადასტურებელი რომელი დოკუმენტი ჩაითვლება საბუთად, რომელიც მსურველს უფლებას აძლევს მიიღოს მონაწილეობა გარბენში?**

— ყველანაირი დოკუმენტი, თუ მასში აღნიშნული იქნება დაბადების წელი, რადგან ეს ძალზე მნიშვნელოვანია ასაკობრივ ჯგუფზე მიკუთვნებისათვის. მაგრამ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უმჯობესია 16 წლამდე მოზარდებმა წარმოადგინონ ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, რომელზედაც დაკრული და ბეჭდით დამოწმებული იქნება ფოტოსურათი. 16 წელს გადაცილებულებმა კი სავალდებულოა, წარმოადგინონ პასპორტი.

**● როდის დარწმუნდებიან მსურველები, რომ მათ ნამდვილად ეძლევათ გარბენში მონაწილეობის უფლება?**

— მას შემდეგ, როცა გაივლიან სამანდატო კომისიას, დააკმაყოფილებენ დებულების მოთხოვნებს, მოხდეს მათი რეგისტრაცია — გვარს შეიტანენ საშეჯიბრო ოქმში და ჩაიბარებენ დამღიან სამკერდე ნომერს.

**● ბარემ ისიც ვთქვათ, სად ჩატარდება სამანდატო კომისიის სხდომები და როდის?**

— სამანდატო კომისია იმუშავებს თბილისში, მძლეოსნობის მანეჟში (ჭავჭავაძის გამზირი, 49-ბ). 21-24 მაისს ყოველდღიურად 10-დან 18 საათამდე. მაგრამ, როგორც გამონაკლისი, არათბილისელებს გარბენის დღესაც კი, 25 მაისს, დილის 9 საათიდან 13 საათამდე (ნაცვლად ადრე გამოცხადებული 12 საათისა) უფლება ეძლევათ გატარდნენ სამანდატო კომისიაში.

**● უშუალოდ გარბენის დღეს სად და რომელ საათზე მოიყრიან თავს მონაწილეები?**

— ვინაიდან, ზოგი რამ შეიცვალა, დავაკონკრეტებ: ყველაზე უმცროსები შეიკრიბებიან სახელმწიფო ცირკის ასასვლელ კიბეებთან 17 საათსა და 30 წუთზე. იმავე დროს, სამი ასაკობრივი ჯგუფის ყველა სხვა მონაწილენი თავს მოიყრიან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ყოფილი შტაბის ეზოში (უნივერმაღ „თბილისთან").

**● ფაქტობრივად სტარტის ორი ადგილია, ფინიშისა...**

— უმცროსი ასაკის მორბენლები დისტანციას დაამთავრებენ ეროვნული სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნის წინ, ყველა დანარჩენი, დასავლეთ ტრიბუნასთან, იქ, სადაც სარბენ ბილიკებზე საერთო ფინიშის ხაზია.



# 25 მაისს, სად, როდის, როგორ...

**ხომ გახსოვთ:** 25 მაისს თბილისში, სპორტის დეპარტამენტის თაოსნობით, ტარდება მასობრივი მძლეოსნური გარბენი, რომელიც ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნება.

საქართველოში პირველად იმართება მძლეოსნური სპორტული ღონისძიება, როცა გამარჯვებულთათვის გამოყოფილი საპრიზო ფონდით იგი საერთაშორისო პოპულარულ ასპარეზობებს უტოლდება.

**არ დაგავიწყდეთ:** გამარჯვებულთათვის დაწესებულია მსუბუქი ავტომანქანა, იმპორტული წარმოების ორკასეტიანი მაგნიტოფონები, მაცივრები, ტელევიზორები...

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

## IX ტურის გამოტოვებული მატჩები

**„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „იბერია“ (თბილისი) 0:2 (0:1)**

ოზურგეთი. ცენტრალური სტადიონი. 19 მაისი.

„მერცხალი“: ზოიძე, ცერცვაძე, მჟავანაძე, ხამაშურიძე, ტულუში, ჩხაიძე, კაშია, ავალიანი, ჩიგოგიძე, ბარამიძე, ხალუქვაძე.

„იბერია“: ჩხეიძე, არზიანი, ცხადაძე, შელია, ჯიშკარიანი, რევიშვილი (ნემსაძე), ქეცბაია, ჩიქოვანი, ინალიშვილი, ყაველაშვილი, გოგიჩაიშვილი (შ. არველაძე).

მსაჯები: ა. მილჩენკო, დ. სანაია (ორივე — სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში).

თავიდანვე ვიტყვით: თბილისის „იბერიამ“ დამსახურებულად გაიმარჯვა.

„დებიუტში“ ბრძოლა თანაბარი იყო. მე-12 წუთზე ოზურგეთელთა ერთ-ერთი შეტევისას ტულუშმა დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა, მაგრამ თბილისელთა გოლკიპერმა სასწაულებრივ იხსნა თავისი კარი. ცოტა ხანში მასპინძლებმა თავიანთი საჯარიმოს მისადგომებთან ინალიშვილი წააქციეს. მსაჯმა საჯარიმო დარტყმა დანიშნა. ინალიშვილ-გოგიჩაიშვილ-ჯიშკარიანის „საჯარიმო კომბინაცია“ ამ უკანასკნელმა გოლით დააგვირგვინა, ბურთი, რომ იტყვიან, „ცხრიანში“ გავიდა. თბილისელთა აშკარა უპირატესობას 46-ე წუთზე ყაველაშვილის მეორე გოლი მოჰყვა. 65-ე წუთზე მასპინძელთა გუნდის ვეტერანს კაშიას გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა მიეცა — მან ოსტატურად გაარღვია თბილისელ მცველთა ალყა, მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა. სტუმართაგან ქეცბაია, რევიშვილი, ყაველაშვილი და არველაძე გამუდმებით უტევდნენ „მერცხალის“ კარს, მასპინძლებიც კონტრშეტევებით პასუხობდნენ, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

**ნუგზარ ასათიანი,**
**„ლელოს“ კორ.**

**„ოდიში“ (ზუგდიდი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:1 (1:0)**

ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 19 მაისი.

„ოდიში“. ჰანტურია, კვიტატიანი, ნაჭყებია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, კვარაცხელია (ტიბუა), მალანია, შეროზია, ბიგვავა, ყიზილაშვილი, თევზაძე (გოგოხია).

„გურია“: ქანთარია, ტყებუჩავა (ჩხაიძე), გუჯაბიძე, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, მიქაბერიძე (კვინტრაძე), აფციაური, კორძაღიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.

მსაჯები: ე. სილაგავა (თბილისი), რ. ჩიქოვანი, ს. პრავოვი (ორივე — გაგრა).

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მატჩი ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყო. უკვე მე-6 წუთზე კორძაღიძის ძლიერი დარტყმა მოიგერია ჰანტურიამ, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ფრიდონაშვილის მიერ თავით დარტყმული ბურთი ოდნავ ასცდა კარს. თავის მხრივ, რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს ოდიშელებმაც, მაგრამ ლანჩხუთელთა კარის დარაჯი უშეცდომოდ თამაშობდა. 25-ე წუთზე ყიზილაშვილმა მიიღო ზუსტი გადაცემა, გვერდი აუარა რამდენიმე მცველს და გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ მინდვრის ბატონ-პატრონები ზუგდიდელები გახდნენ, მაგრამ პირველ ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა.

მეორე ტაიმი ლანჩხუთელებმა აგრესიულად დაიწყეს, სულ უფრო ხშირად ებმებოდა თამაშში ჰანტურია. 63-ე წუთზე საჯარიმოს გარედან ტყებუჩავამ ძლიერად დაარტყა, ბურთი ძელს მოხვდა, ასხლტა, მასთან პირველი ფრიდონაშვილი გაჩნდა და რთული პოზიციიდან შეძლო ანგარიშის გათანაბრება. სწორედ ამის შემდეგ აირია თამაში — „ოდიშის“ ფეხბურთელებმა ჩათვალეს, რომ ბურთი არასწორად იქნა გატანილი, მაგრამ მსაჯმა თავისი გადაწყვეტილება აღარ შეცვალა. მატჩის დარჩენილი მონაკვეთი ნერვულ ვითარებაში ჩატარდა. საბოლოოდ ფრე — 1:1. „ოდიშის“ ხელმძღვანელობამ გააპროტესტა შეხვედრის შედეგი.

**როვან გაბისონია,**
**„ლელოს“ კორ.**

•

**„ცხუმი“ (სოხუმი) — „გორდა“ (რუსთავი) 2:1 (0:0)**

სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 19 მაისი.

„ცხუმი“: ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი, მალანია, გოგიაშვილი (ა. სიჭინავა), ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა, გაბისკირია (თ. სიჭინავა).

„გორდა“: მეშკოვი, ფირცხალავა, ლობჟანიძე, კუდინოვი, ბურნაძე (მიქაშავიძე), თორღაშვილი, ტ. კაპანაძე, კილასონია, ა. კაპანაძე, ფანცულაია, მეტრეველი (ავაქიანი).

მსაჯები: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი), პ. დოგრაშვილი, თ. მაჩიტაძე (ორივე — ქუთაისი).

გააფრთხილეს: დ. კუდინოვი, ა. სიჭინავა.

შესანიშნავი საფეხბურთო ამინდი იდგა სოხუმში, ცოტა ცხელოდა კიდეც, რამაც მატჩის ტემპზეც იქონია გავლენა. ყოველ შემთხვევაში, პირველი ტაიმის დასაწყისში თამაში საშუალო ტემპში წარიმართა, შემდეგ კი იერიშები უფრო სწრაფი და გაამახვილებული გახდა, რისთვისაც ცაავამ, ჯიშკარიანმა, გოგრიჭიანმა არაერთხელ დაიმსახურეს გულშემატკივართა ტაში. ერთ-ერთი შეტევისას ამ უკანასკნელის მიერ შორი მანძილიდან ძლიერად დარტყმული ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. 39-ე წუთზე კი ავთანდილ კაპანაძისა და სოხუმელთა მეკარის ყორყოლიანის დუელი ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

პირველი გოლი 55-ე წუთზე გავიდა — გოგრიჭიანმა კარგად ჩააწოდა ბურთი მალანიას და მანაც ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. ათიოდე წუთში სოხუმელთა ერთ-ერთი იერიში მეკარე მეშკოვმა აკრძალული ხერხით შეაჩერა და მალანიამ პენალტით მეორე გოლი გაიტანა სტუმართა კარში.

რუსთაველებმა, მიუხედავად იმისა, რომ ურიგოდ არ ითამაშეს, მხოლოდ ერთხელ შეძლეს სოხუმელთა კარის აღება: 68-ე წუთზე სტუმრებმა ლამაზი კომბინაცია განახორციელეს, მეტრეველის დარტყმა მოიგერიეს სოხუმელთა მცველებმა, მაგრამ კილასონიამ ყველას დაასწრო და 15 მეტრიდან ძლიერი დარტყმით შეამცირა ანგარიშში სხვაობა.

**თენგიზ პაჭკორია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

**„სანავარდო“ (სამტრედია) — „ოჩამჩირე“ (ამირანი) 3:1 (2:1)**

სამტრედია. ე. მანჯგალაძის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 19 მაისი.

„სანავარდო“: თოდაძე, კოხრეიძე, ტონია, გეგეშიძე, დავით თვალაბეიშვილი, ლორთქიფანიძე, რუხაძე, ნოზაძე, ვ. ბრეგვაძე, დურმიშხან თვალაბეიშვილი, ბ. ბრეგვაძე.

„ამირანი“: კოპალიანი, ახვლედიანი, ძალამიძე, დოჩია, შამუგია, შიროკი, აფენდოპულო, გომონოვი, ქობალია (გურუა), გაბისონია, პაპასკირი (ლურწკაია).

მსაჯები: ნ. კილაძე (თბილისი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბანი), ი. მექერიშვილი (გურჯაანი).

გააფრთხილეს: დავით თვალაბეიშვილი, გაბისონია, ქობალია.

აუტსაიდერთა ჯგუფში მყოფი მეტოქეები, რა თქმა უნდა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ მატჩის შედეგს და ორივე გუნდის ფეხბურთელები საბრძოლო განწყობილებით გამოვიდნენ მოედანზე.

უკვე მე-6 წუთზე „სანავარდო“ მდევრის როლში აღმოჩნდა — გომონოვმა მარჯვენა ფრთიდან აუტი მოაწოდა, ბურთი მეტოქის საჯარიმოს „უწია“, პარტნიორმაც დროულად მასვე დაუბრუნა ბურთი და გომონოვმა შეუჩერებლად, მახვილი კუთხიდან ლამაზი გოლი გაიტანა.

მასპინძელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაშვებულმა ბურთმა მათ არ დაუკარგა გამარჯვების რწმენა და მე-11 წუთზე დურმიშხან თვალაბეიშვილმა გაათანაბრა ანგარიში.

მე-20 წუთზე სამტრედიელებმა სწრაფი იერიში მიიტანეს მეტოქის კარზე, ნოზაძემ ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა დურმიშხან თვალაბეიშვილი, მაგრამ დოჩიამ აშკარა გოლისაგან იხსნა თანაგუნდელები, 2 წუთის შემდეგ კი გაბისონიამ დაკარგა გოლის გატანის კარგი შანსი.



„ცხუმი“ — „გორდა“.

ირაკლი პოხონელიძის ფოტო.

მე-40 წუთზე დურმიშხან თვალაბეიშვილი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და ზუსტი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა.

ამის შემდეგ ოჩამჩირელებმა რამდენჯერმე სახიფათოდ შეუტიეს, მაგრამ სამტრედიელთა მცველები ზუსტად თამაშობდნენ.

79-ე წუთზე ნოზაძემ ორ მცველს აუარა გვერდი და გადააწოდა ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ დურმიშხან თვალაბეიშვილს, რომელმაც წერტილი დაუსვა მატჩს.

**იუზა კაციტაძე,**
**„ლელოს“ კორ.**

**„სამგურალი“ (წყალტუბო) — „ივერია“ (ხაშური) 4:0 (0:0).**

წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 19 მაისი.

„სამგურალი“: მიქაძე, ბერაძე, გოგელიძე, ხურცილავა, ვ. ფეხტვენიძე (ნხაბერიძე), გ. ჯანელიძე (ი. იონანიძე), ცნობილაძე, სიჭინავა, ჰ. იობიძე, ბაბუნიძე, ხარაბაძე.

„ივერია“: ბრიაუნისი, ჰინჭარაული (ჰყოიძე), პ. ნოზაძე, მაღრაძე, (რ. ნოზაძე), ჰანგურიძე, ხარაზიშვილი, ავალიანი, კიხელიოვი, მჭედლიშვილი, თევზაძე, რობაქიძე.

მსაჯები: მ. ჰელიძე, ა. წერეთელი, (ორივე — თბილისი), ა. ნიშნიანიძე (ტყიბული).

თავდაპირველად ორივე გუნდი ფრთხილობდა, ყურადღება ძირითადად საკუთარი კარის დაცვაზე ჰქონდათ გადატანილი: „ივერია“ ერთ-ერთი აუტსაიდერია და სტუმრად ერთი ქულის აღება მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. „სამგურალს“ კი რამდენიმე ძირითადი მოთამაშე აკლდა. პირველი საგოლე მომენტი წყალტუბოელებმა შექმნეს — ხარაბაძე საჯარიმოში წააქციეს ხაშურელმა მცველებმა. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, მაგრამ გოგელიძის დარტყმა ასცდა მიზანს. მასვე შეეძლო 39-ე წუთზე გამოესწორებინა თავისი შეცდომა — ახლო მანძილიდან თავით დაარტყა, მაგრამ კვლავ არაზუსტად. 47-ე წუთზე კი ხაშურელთა მეკარესთან პირისპირ გასულმა ჰ. იობიძემაც ვერ იმარჯვა.

მატჩის მეორე ნახევარი მთლიანად „სამგურალის“ კარნახით მიმდინარეობდა. „ივერია“ თამაშის ტემპის შენელებას ცდილობდა, მაგრამ, აშკარა იყო, თანდათან უჭირდა მასპინძელთა შეტევების მოგერიება. ანგარიში 54-ე წუთზე გაიხსნა: კუთხურდიან ჩამოწოდებული ბურთი სიჭინავამ „ზუსტი მისამართით“ გაგზავნა. ორიოდ წუთში იობიძე-იონანიძის კომბინაცია ამ უკანასკნელის შედეგიანი დარტყმით დამთავრდა. 59-ე წუთზე სტუმრებმა ვერ გამოიყენეს ანგარიშში სხვაობის შემცირების საუკეთესო მომენტი. 73-ე წუთზე ფესტვენიძემ ხელსაყრელ პოზიციაში მიიღო ბურთი და კიდევ უფრო დააწინაურა თავისიანები. ოთხიოდე წუთში იონანიძე რამდენიმე მცველს გასცდა, მეკარის მოტყუება სცადა, მაგრამ ამ ეპიზოდში იმარჯვა ბრიაუნისმა, თუმცა, მათივე დუელი მე-80 წუთზე წყალტუბოელი ნახევარმცველის გამარჯვებით დამთავრდა — იონანიძემ მეოთხედ აიღო ხაშურელთა კარი.

**ომარ ჭუმბურიძე,**
**„ლელოს“ კორ.**

**„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0.**

ფოთი. „ფაზისის“ სტადიონი. 19 მაისი.

„კოლხეთი-1913“: გვასალია, თიბილაშვილი, ცქვარია, ჭიორგაძე, გიგატაძე, შამათვა, თოფურია, მახარაძე, ბაჯალაძე (ლაღიძე), თვარაძე (გოროზია), ქობალია.

„ალაზანი“: მალისოვი, შუბითიძე, კევლიშვილი, (შეხვატოვი), აბულაძე, ძნელაძე, ბარნაბიშვილი, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, ხოლოღაშვილი, თეთრაული, (პოზოიანი), სპანდერაშვილი.

მსაჯები: ს. კვარაცხელია, გ. კალანდია (ორივე — ზუგდიდი), მ. ჯულაყიძე (სამტრედია).

გოლები: თვარაძე, ქობალია.

• • •

**„ბათუმი“ (ბათუმი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი) 3:1 (2:0).**

ბათუმი. ცენტრალური სტადიონი. 19 მაისი.

„ბათუმი“: ბალაძე, გოგიტიძე, (ბრუნჯაძე), მჭედლიშვილი (ღლონტი), დურდიაძე, შეყილაძე, ზედანია, მახარაძე, შანიძე, ნასუაშვილი, ტულუში, კეერჯიევი.

„ქუთაისი“: ხელაძე, თევზაძე, წიქარიშვილი, ბზიკაძე, შავგულიძე, ნადირაძე, შენგელია, ხუნდაძე, ხუხიაშვილი (მანაგაძე), დარახველია, ფაიქიძე.

მსაჯები: ლ. ჩიტაია (თბილისი). ა. ხამხარაძე კ. დავიდიანი (ორივე — ბათუმი).

გოლები: ნასუაშვილი, ტულუში, კიურჯიევი, დარახველია.

• • •

**„კოლხეთი“ (ხობი) — „ხულორი“ (ვანი) 3:0 (1:0).**

ხობი. ცენტრალური სტადიონი. 19 მაისი.

„კოლხეთი“: ბაბუაძე, გვასალია, კაციტაძე, შურღაია, ღატარია, მამფორია, (ფარფალია), ბაკურაძე (კალუგა), რუხაძე, გოგაძე, პიმუშინი, პიჭინაძე.

„ხულორი“: კიკალეიშვილი, ძაგნიძე, ჯ. ვერულაშვილი, ზენაიშვილი, გოჩა ბრეგვაძე, ორმოცაძე, (დვალიშვილი), არველაძე, ბუიშვილი, ხურცილავა, გ. ვერულაშვილი, გიზო ბრეგვაძე.

მსაჯები: ვ. ეჯიბია, ჯ. მგელაძე, ზ. ლაცაბიძე (ყველა — თბილისი).

გოლები: ლატარია, გოგაძე — 2.

• • •

**„მზიური“ (გალი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 1:0.**

გალი. ცენტრალური სტადიონი. 19 მაისი.

„მზიური“: მაკახარაშვილი, დ. ლურწკაია, ფარფალია, თ. ლურწკაია, ჩაიკა, მეტრეველი, ჯღარკავა, მორგოშია (ხურცილავა), ჩხეტია (ეთერია), ხარჩილავა, ქანთარია.

„შევარდენი-1906“: გვენცაძე, ელიაშვილი, სამხარაძე, ჩადუნელი, მენთეშაშვილი, კოპალეიშვილი, ბაკურაძე, შალამბერიძე, ტარტარაშვილი, ლიპარტელიანი (ყულიაშვილი), მინაშვილი.

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (ხაშური), ლ. რაზმაძე, მ. აბაიაძე (ორივე — გორი).

გოლი: ჩხეტია.

გააფრთხილეს ზ. ბაკურაძე.

## XII ტურის მატჩები

**„ალაზანი“ (გურჯაანი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 1:1 (0:0)**

გურჯაანი. ცენტრალური სტადიონი. 16 მაისი.

„ალაზანი“: მალისოვი, შუბითიძე, კევლიშვილი, სანადირაძე, ძნელაძე, სპანდერაშვილი, ბაწაშვილი, ზაალიშვილი, ხოლოღაშვილი, თეთრაული, კობახიძე.

„შევარდენი-1906“: გვენცაძე, ელიაშვილი, ნადირაშვილი, ჩადუნელი, მენთეშაშვილი, კოპალეიშვილი, ბაკურაძე, შალამბერიძე, ტარტარაშვილი, ქობელაშვილი, მინაშვილი (ლიპარტელიანი).

მსაჯები: მ. კობიაშვილი (დუშეთი). პ. დოგრაშვილი, თ. მაჩიტაძე (ორივე — ქუთაისი).

გოლები: სპანდერაშვილი, ჩადუნელი.

გააფრთხილეს: გ. ქობელაშვილი, ქ. კოპალეიშვილი.

• • •

**„მარგვეთი“ (ზესტაფონი) — „მზიური“ (გალი) 2:1 (1:1).**

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი. 16 მაისი.

„მარგვეთი“: დევაძე, ფოცხვერაშვილი, ლონდაძე, (წითელაშვილი), ზუჯაძე, ლაცაბიძე (გურიელიძე), გაბრიჭიძე, ინიაშევი, ავრამიდისი, ჯულელი, კიკნაძე, კერძევაძე.

„მზიური“: მაკახარაშვილი, დ. ლურწკაია, ფარფალია, თ. ლურწკაია, ხურცილავა, ჩაიკა, ჯღარკავა, მეტრეველი (აკავა), ჩხეტია (კ. კვეკვესკირი), ხარჩილავა, ქანთარია.

მსაჯები: გ. ხეფიაშვილი, ი. შალამბერიძე, ა. წერეთელი (სამივე — თბილისი).

გოლები: კიკნაძე — 2, ხარჩილავა.

გააფრთხილეს: ნ. კიკნაძე, ი. ჯულელი.



# დაეწევა ვინმე სენას?

**მონაკოს** „გრან პრი" 1942 წლიდან თამაშდება. ასე რომ, წელს 50-ედ გამოვიდნენ სტარტზე პილოტები „ფორმულა 1" კლასის ავტომობილებით. რბოლა საიუბილეო იყო „მაკლარენისთვისაც", რომლის დებიუტიც სწორედ ამ ქვეყნის ქუჩებში შედგა 1966 წელს.

პარასკევს, არაოფიციალურ, და შაბათს, ოფიციალურ საკვალიფიკაციო რბოლებში კვლავ „მაკლარენ-ჰონდას" პილოტმა, ბრაზილიელმა აირტონ სენამ იმარჯვა და 56-ედ დაიკავა პირველი ადგილი სასტარტო ბილიკზე.

სენსაციად მიიჩნიეს იტალიელ სტეფანო მოდენას („ტაირელ-ჰონდა") მეორე ადგილი საწვრთნელ რბოლებში.

საკვალიფიკაციო რბოლებში აირტონ სენამ მიაღწია იმას, რომ მსოფლიოში ყველაზე „ნელ" ტრასაზე განავითარა საათში 150 კილომეტრი სიჩქარე.

სტარტი ჩვეული მანერით აიღო სენამ, რომელსაც მიჰყვნენ მოდენა, პატრეზე, მენსელი, პიკე, ბერგერი, პროსტი, ალეზი, მორენო, კაპელი. ისინი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ და შემდეგ... რიგრიგობით ეთიშებოდნენ ასარეზობას.

აირტონ სენამ მოიპოვა 30-ე „გრან-პრი", ზედიზედ მეოთხე წლევანდელ სეზონში და მეოთხე მონაკოში (1987, 1989, 1990, 1991 წ.წ.). ეს იყო „მაკლარენის" 90-ე გამარჯვება ასპარეზობის 25 წლის მანძილზე და მეშვიდედ მოგებული შეჯიბრება მონაკოში, „ჰონდამ" კი 62-ე გამარჯვება იზეიმა.

ჩანს, წელს ვერავინ გაუწევს სერიოზულ წინააღმდეგობას ბრაზილიელ აირტონ სენას. სპეციალისტები მას უკვე მსოფლიო ჩემპიონად მოიხსენიებენ, რასაც ბრაზილიელი სპორტსმენი უარყოფს — მან უკეთ იცის, რას წარმოადგენს მისი მთავარი კონკურენტი ალენ პროსტი და „ფერარის" გუნდი.

მთელი სპორტული კარიერის მანძილზე ნაიჯელ მენსელი მონაკოში გამარჯვებაზე ოცნებობდა, მაგრამ ყოველთვის რაღაც უშლიდა ხელს. 1980 წლიდან დღემდე იგი მხოლოდ ორჯერ (1982, 1986 წ.წ.) გავიდა მეოთხე ადგილზე. „გრან პრის" მოპოვების შანსი მას 1984 წელს ჰქონდა, როცა „ლოტუს-რენოს" ფირმის ავტომობილით საკვალიფიკაციო რბოლა მეორემ დაასრულა, თვით რბოლაში კი, გაუსწრო მაშინდელ ლიდერს ალენ პროსტს, მაგრამ, წვიმიან ამინდში გვირაბიდან გამოსვლისას მისი ავტომობილი მოსრიალდა და ინგლისელი პილოტი რბოლას გამოეთიშა. წელს კი ნაიჯელ მენსელმა მეორე ადგილი დაიკავა.

ალენ პროსტმა ტრასის რეკორდი (1 წუთი, 24,368 წამი, საშუალო სიჩქარე საათში 142,006 კილომეტრი) დაამყარა, რომელიც 35-ეა მისთვის.

რბოლის საბოლოო შედეგი:

1. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენ- ჰონდა") — 10 ქულა; 2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „უილიამს-რენო"), 6; 3. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი") — 4; 4. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი") — 3; 5. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი"), — 2; 6. ემანუელე პირო (იტალია, „სკუდერია იტალია (დალარა) — „ჯადი") — 1 ქულა.

მდგომარეობა 4 ეტაპის შემდეგ:

1. აირტონ სენა — 40 ქულა; 2. ალენ პროსტი — 11, 3. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენ-ჰონდა") — 10; 4-6. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ბენეტონ-ფორდი"), რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამს-რენო"), ნაიჯელ მენსელი — 6-6 ქულა; 7. ჟან ალეზი — 5; 8. ირკი იარვილეჰტო (ფინეთი, „სკუდერია იტალია (დალარა)— „ჯადი") 4; 9-11. სტეფანო მოდენა, პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი-ფერარი"), რობერტო მორენო — 3-3 ქულა; 12-13. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ტაირელ-ჰონდა"), მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუს-ჯადი") — 2-2; 14-16. აუგური სუძუკი (იაპონია, „ლარუს (ლოლა) — ფორდი"), ჯულიან ბეილი (ინგლისი, „ლოტუს-ჯადი"), ემანუელე პირო — თითო ქულა.

კონსტრუქტორთა პირველობა:

1. „მაკლარენი" — 50; 2. „ფერარი" — 16; 3. „უილიამსი" — 12; 4. „ბენეტონი" — 9; 5-6. „ტაირელი" „სკუდერია იტალია (დალარა)-ჯადი") — 5-5; 7-8. „მინარდი", „ლოტუსი" — 3-3; 9. „ლარუს (ლოლა) -ფორდი" — 1 ქულა.

როგორც ხედავთ, სენასა და პროსტს შორის საგრძნობი სხვაობაა ქულებში. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ფრანგი პილოტი გამოუვალ მდგომარეობაშია — მან ახლა თითქმის ყველა ეტაპზე ძალების მთელი მობილიზებით უნდა იბრძოლოს, რათა ეს სხვაობა შეამციროს და ჩემპიონობას თუ არა, კვლავ მეორე ადგილს მიაღწიოს.

მომდევნო, მეხუთე ეტაპი, გაიმართება 2 ივნისს მონრეალში, „ჟილ ვილნევის" ავტოდრომზე.

**დავით ჩუბინიძე**

# რა ისმის უცხოეთიდან?

## გადამწყვეტი გოლი საკუთარ კარში

**ინგლისის** თასი ფეხბურთში „ტოტენჰემმა" მოიპოვა. ფინალური მატჩის დამატებით დროში, მან „ნოტინგემ ფორესტი" დაამარცხა — 2:1. გადამწყვეტი გოლი შეხვედრის 94-ე წუთზე გაიტანა „ნოტინგემისა" და ინგლისის ნაკრების მცველმა უოლკერმა... საკუთარ კარში.

არადა, ბრძოლის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა „ტოტენჰემს", რომელმაც მე-15 წუთზე გაუშვა გოლი პირსის ძლიერი დარტყმის შემდეგ: 30-ე წუთზე „ნოტინგემის" მეკარემ კროსლიმ ლინეკერის მიერ დარტყმული თერთმეტმეტრიანი მოიგერია. ამასთან, მძიმე ტრავმა მიიღო გესკოინმა, რომელიც საკაცით გაიტანეს მინდვრიდან.

ამ დიდი დანაკლისის მიუხედავად, „ტოტენჰემმა" 56-ე წუთზე გაათანაბრა ანგარიში, რომელიც ძირითადი დროის დამთავრებამდე უცვლელი დარჩა, მერე კი...

**სტენფორდი.** აშშ-ის ამ ქალაქში არგენტინის ფეხბურთელთა ნაკრებმა მინიმალური ანგარიშით დაამარცხა მასპინძელთა გუნდი — 1:0. გოლი 33-ე წუთზე გაიტანა ფრანკომ.

გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების მატჩები:

**საფრანგეთი.** ქვეყნის ჩემპიონი გახდა „მარსელი" მას შემდეგ, რაც ვერკრუისმა 77-ე წუთზე ერთადერთი გოლი გაიტანა „ოსერის" კარში და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა. ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე, „მარსელს" 53 ქულა აქვს. ამ პოპულარულმა კლუბმა ჩემპიონის ტიტული ზედიზედ მესამედ მოიპოვა. ვერცხლის მედლები გაინაღდა „მონაკომ" — 50 ქულა, ბრინჯაოსი — „ოსერმა" (46 ქულა).

**ბელგია.** „ვარეგემი" — „ლი-ერსი" 1:2, „[illegible]" — „[illegible]" 2:4, „სტანდარდი" — „[illegible]" 2:1, „სენტ ტრუდენი" — „გენკი" 0:1, „ანტვერპენი" — „ლიეჟი" 2:2, „სერკლი" — „გენტი" 1:2, „ლოკერენი" — „კურტრე" 0:2, „მეჰელენი" — „ანდერლეჰტი" 1:1, „მოლენბეკი", — „ეკერენი" 6:1.

**საბერძნეთი.** „პანათინაიკოსი" — ოფი 3:0, „ოლიმპიაკოსი" — აეკ 3:1, „პანაჰაიკი" — „ქსანტი" 5:1, „აპოლონი" — „არისი" 1:1, „ათინაიკოსი", — „პაოკი" 0:5, „ლარისა" — „პანიონისი" 1:1, „ჰერაკლისი" — „დოქსა" 2:2, „იონიკოსი" — „ლევადიაკოსი" 2:2, „პანსერაიკოსი" — „იანინა" 1:0.

**იუგოსლავია.** „ველეჟი" — „ბუდუჩნოსტი" 2:0, „ოსიეკი" — „სლობოდა" 1:2, „პარტიზანი" — „რადნიჩკი" 3:1, „რიეკა" — „ოლიმპია" 1:0, „ჰაიდუკი", — „ვოივოდინა" 1:1, „დინამო" — „ცრვენა ზვეზდა" 3:2, „ზემანი" — „პროლეტერი" 1:0, „სარაევო" — „სპარტაკი" 4:1, „ბორაცი" — „ჟელეზნიჩარი" 2:1.

**უნგრეთი.** „სეგედი" — „ჰონვედი" 1:3, „დებრეცენი" — მტკ 1:7, „ვესპრემი" — „ვაშაში" 0:1, „სიოფოკი" — „პეჩი" 1:0, „ტატაბანია" — „იზოვაკი" 2:0, „ბეკეჩაბა" — „ვოლანი" 0:1, „ფერენცვაროში" — „რაბა ეტო" 1:2, „უიპეშტ დოჟა" — „ვიდეოტონი" 2:0;

**პოლონეთი.** ლკს — „იგლოპოლი" 1:1, „ჰუტნიკი" — „ლეგია" 4:2, „ზავიშა" — „ლეხი" 0:2, „მოტორი" — „ვისლა" 0:0, „რუხი" — „სლასკი" 1:1, „სტალი" — „გურნიკი" 0:0, „სოსნოვეცი" — გკს 0:1, „ოლიმპია" — „ზაგლებიე" 1:1.

## ევროპის ჩემპიონატი

გაიმართა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ორი შესარჩევი მატჩი.

IV **ჯგუფი.** ბელგრადში ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიისა და ფარერის კუნძულების ნაკრები გუნდები. თამაში დამთავრდა იუგოსლაველთა გამარჯვებით — 7:0.

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 6 | 5 | 0 | 1 | 20-4 | 10 |
| დანია | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 5 |
| ფარერ. კუნძ | 4 | 1 | 1 | 2 | 3-12 | 3 |
| ჩრ. ირლანდია | 5 | 0 | 3 | 2 | 3-8 | 3 |
| ავსტრია | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

VI **ჯგუფი.** ჰელსინკში ერთმანეთს შეხვდნენ აუტსაიდერები — ფინეთისა და მალტის გუნდები. ფინელებმა უპირატესობის რეალიზაცია მეორე ტაიმში შეძლეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 5 | 4 | 0 | 1 | 13-1 | 8 |
| პორტუგალია | 5 | 3 | 1 | 1 | 9-3 | 7 |
| საბერძნეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-4 | 4 |
| ფინეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-3 | 4 |
| მალტა | 7 | 0 | 1 | 6 | 1-22 | 1 |

# ორი ქალი და მამაკაცები

**მიუნხენი.** აქ მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასში დები პოლგარებიც მონაწილეობდნენ. შეჯიბრების საბოლოო შედეგები ასეთია (გათამაშდა 13 ტური):

1. ლარი კრისტიანსენი (აშშ) — 9,5 ქულა, 2-5. ალექსანდრე ბელიავსკი, ბორის გელფანდი (ორივე— სსრკ), ჰერალდ ჰერტნეკი, რობერტ ჰიუბნერი (ორივე — გერმანია) — 8-8, 6. ჯონ ნანი (ინგლისი) — 7,5, 7. ვიშვანატან ანანდი (ინდოეთი) — 7, 8. იუდით პოლგარი (უნგრეთი) — 6,5, 9. ვლასტიმილ ჰორტი — 6, 10. ერიკ ლობრონი (ორივე — გერმანია) — 5,5, 11-12. ჟუჟა პოლგარი (უნგრეთი), ლეონიდ იუდასინი (სსრკ) — 5-5, 13-14. მათიას ველსი, სტეფან კინდერმანი (ორივე — გერმანია) — 3,5-3,5.

14 წლის იუდით პოლგარმა ვაჟთა ტურნირში 50-პროცენტიანი შედეგი აჩვენა, რაც თავისთავად წარმატებაა.

## ავტოგრაფები ტაბლოზე

**ევროპის მე-40 ჩემპიონატი ძიუდოში. პრაღა, 1991 წ. 16-19 მაისი.**

**60 კგ.** 1. ფ. პრადეროლი (საფრანგეთი), 2. პ. კამროვსკი (პოლონეთი), 3. მ. კატედრე (იტალია) და ჟ. ვაგნერი (უნგრეთი).

**65.** 1. ე. ბორნი (შვეიცარია), 2. ჟ. ჩაკი (უნგრეთი), 3. მ. შმიდტი, (გერმანია) და ი. ფრიმენი (ინგლისი).

**71.** 1. შ. დოტი (გერმანია), 2. ი. ვენჩეკი (ჩეხოსლოვაკია), 3. მ. ალიევი (სსრკ) და კ. გაგლიანო (საფრანგეთი).

**78.** 1. ა. ვურტი (ჰოლანდია), 2. ი. ლაატსი, (ბელგია), 3. ბ. ვარაევი (სსრკ) და კ. კამინსკი (პოლონეთი).

**86.** 1. ა. ლობენშტაინი (გერმანია), 2. დ. ვისმარა (იტალია), 3. დ. ვილარი (ესპანეთი) და ა. კროტორუ (რუმინეთი).

**95.** 1. ტ. მეიერი (ჰოლანდია), 2. გ. გაურგაშვილი (სსრკ), 3. ს. ტრენო (საფრანგეთი), და დ. კნორეკი (გერმანია).

**მძიმე.** 1. ჰ. შტორი (გერმანია), 2. ს. კოსოროტოვი (სსრკ), 3. რ. კუბაცკი (პოლონეთი) და დ. დულიო (საფრანგეთი).

**აბსოლუტური.** 1. ი. ბერეზნიცკი (სსრკ), 2. ვ. ფონ აიტცენი (გერმანია), 3. ს. ვენტურელი (იტალია) და პ. რონი (საფრანგეთი).

## „სპორტლოტო"

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ" შეაჯამა „სპორტლოტოს" 1991 წლის მე-19 ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** დაშვებულია 1.312.461 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცნია. ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები თანხა (9.843 მანეთი), დაემატება მე-20 ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს, რომელიც გაიზარდა 105.837 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისთვის (19) მოგება 4.677 მანეთია, ოთხისთვის (1.072) — 214.

საქართველოში დაშვებულია: 18.903 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—12.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** დაშვებულია 16.340.698 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (63) მოგება 7.784 მანეთია, ოთხისთვის (5.713) — 131, სამისთვის (201.425) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 186.245 ვარიანტი. 5—0, 4—88, 3—2.895.

მე-19 და 10-19 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 1 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით.

**„სპორტპროგნოზი", 22-ე ტირაჟის პროგრამა (31.V-2.VI)**

| სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა) | | პროგნოზი | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „შახტიორი" (დონეცკი) | 31.V | 50 | 40 | 10 | 1 |
| **სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა)** | | | | | |
| 2. „ზენიტი" (იჟევსკი) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 31.V | 70 | 10 | 20 | X |
| 3. „სოკოლი" (სარატოვი) — „ლადა" (ტოლიატი) | 31.V | 30 | 60 | 10 | 1 |
| 4. „სტარტი" (ულიანოვსკი) — „კრილია სოვეტოვი" (სამარა) | 31.V | 10 | 50 | 40 | X |
| **სსრკ ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ლიგა)** | | | | | |
| 5. „ტორპედო" (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 1.VI | 60 | 30 | 10 | X |
| 6. „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 1.VI | 20 | 60 | 20 | 1 |
| 7. ცსკა — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) | 2.VI | 80 | 10 | 10 | 1 |
| 8. „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „დინამო" (მოსკოვი) | 2.VI | 30 | 50 | 20 | 2 |
| 9. „სპარტაკი" (ვლადიკავკაზი) — „პამირი" (დუშანბე) | 2.VI | 70 | 20 | 10 | X |
| 10. „არარატი" (ერევანი) — „დინამო" (კიევი) | 2.VI | 30 | 60 | 10 | 2 |
| 11. „დინამო" (მინსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) | 2.VI | 30 | 60 | 10 | X |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | | |
| 12. „მალიორკა" (მალიორკა) — „კადისი" (კადისი) | 2.VI | 20 | 60 | 20 | 1 |
| 13. „ატლეტიკო" (მადრიდი) — „რეალი" (მადრიდი) | 2.VI | 40 | 50 | 10 | 1 |

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე



**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი**
(აკ. წერეთლის გამზირი, № 2)

**25 მაისი ● ფეხბურთი**

საქველმოქმედო ამხანაგური მატჩები

**„იბერია" (თბილისი) — საქართველოს კლუბების ნაკრები**

დასაწყისი 17 საათზე

**ვეტერან ფეხბურთელთა შეხვედრა**

**თბილისის „დინამო"** (ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის 1981 წლის მფლობელი) — **კიევის „დინამო"** (ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის 1975 წლის მფლობელი.

მატჩში მონაწილეობას მიიღებენ სახელგანთქმული ფეხბურთელები: ა. ჩივაძე, რ. შენგელია, თ. სულაქველიძე, თ. კოსტავა, დ. ყიფიანი, ვ. გუცაევი, ვ. კოლოტოვი, ვ. მუნტიანი, ე. რუდაკოვი, ა. პუზაჩი, ვ. ვერემეევი, ი. რეშკო, ვ. ტროშკინი და სხვები.

დასაწყისი 19 საათზე

**აღნიშნული მატჩების მთლიანი შემოსავალი გადაეცემა განსვენებული სახელგანთქმული ფეხბურთელის მიხეილ მესხის ოჯახს.**

**მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 23, 24 და 25 მაისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).**
**აბონემენტები ძალაში არაა.**

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ლ. ჯავახიშვილი, კორექტორები: ე. ხომერიკი და მ. ძეძამიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა. 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, სოშარაულის, 19.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20